**საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი**

# ბრძანება N 2-765

14/09/2018

**ქ. თბილისი**

## „თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფ. კვახჭირის ტერიტორიაზე შპს „ექსიმგრუპ“-ის ფეროშენადნობთა საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციის პროექტზე“ სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის I დანართის მე-5 პუნქტის და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" (07.12.2017 #1620-რს) საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. გაიცეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფ. კვახჭირის ტერიტორიაზე, შპს „ექსიმგრუპ“-ის ფეროშენადნობთა საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნა #36; 07.09.2018 წ.
2. შპს „ექსიმგრუპ“-მა სავალდებულოა გზშ-ს ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს #36; 07.09.2018 წ. სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ექსიმგრუპ“-ს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ექსიმგრუპ“-ის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე თერჯოლის მუნიციპალიტეტის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი